

# სოციოლოგია I კურსი (ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები) I,II სემესტრი 2017-2018 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

## კითხვა 1

რას შეისწავლის სოციოლოგია?

აირჩიეთ ერთი:

- a. საზოგადოების რეგრესს;
- b. საზოგადოების ცვალებადობის კანონებსა და ტენდენციებს;
- c. საზოგადოების მიერ შექმნილ მითებს.

## კითხვა 2

რომელი მეცნიერებათა შემადგენელ ნაწილად მოიაზრება სოციოლოგია?

აირჩიეთ ერთი:

- a. უფოლოგიურ მეცნიერებათა;
- b. ფილოსოფიურ მეცნიერებათა;
- c. ქიმიურ მეცნიერებათა.

## კითხვა 3

რა სფეროებს იკვლევს კერძო სოციოლოგია?

აირჩიეთ ერთი:

- a. ოჯახის, რელიგიის, ახალგაზრდობის, პოლიტიკური პარტიების პრობლემებს;
- b. ადამიანის ბიოლოგიურ დაავადებათა პრობლემებს;
- c. მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის პრობლემებს.

## კითხვა 4

რაში მდგომარეობს სოციოლოგიის ამოცანა?

აირჩიეთ ერთი:

- a. კოსმოსური სივრცეების კვლევა;
- b. ახალი ტრადიციების დამკვიდრების გზების ძიება;
- c. თეორიული კვლევა და მოპოვებული მასალის პრაქტიკული რეალიზაცია.

## კითხვა 5

განვითარებულ ქვეყნებში რამ მოუპოვა წარმატებები და ავტორიტეტი სოციოლოგიას?

აირჩიეთ ერთი:

- a. ადამიანების ლტოლვას სიახლისადმი;
- b. სოციოლოგიის პრაქტიკულმა დანიშნულებამ;

- c. სოციოლოგიის ისტორიულმა ხასიათმა.

### კითხვა 6

რაში მდგომარეობს სოციოლოგიის შემეცნებითი ფუნქცია?

აირჩიეთ ერთი:

- a. იმაში, რომ იკვლევს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას;
- b. იმაში, რომ იკვლევს ბავშვების აღზრდის კანონზომიერებას;
- c. ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების ხერხებს და მეთოდებს.

### კითხვა 7

რა იწვევს სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის ზრდას?

აირჩიეთ ერთი:

- a. თანამედროვე რთული საზოგადოებრივი ურთიერთობები;
- b. ადამიანების ლტოლვა სიმდიდრისადმი;
- c. საზოგადოებრივი ცხოვრების კომპიუტერიზაცია.

### კითხვა 8

რაში გამოიხატება ბიოლოგიური მიმართულების არსი სოციოლოგიაში?

აირჩიეთ ერთი:

- a. სოციოლოგიის მიერ ბიოლოგიური ორგანიზმების კვლევაში;
- b. საზოგადოებაში მოქმედი კანონების ბიოლოგიის კანონებთან გაიგივებაში;
- c. ბიოლოგიური კანონზომიერების უარყოფაში.

### კითხვა 9

ო. კონტის თანახმად თეოლოგიურ სტადიაზე რა მდგომარეობაშია ადამიანი?

აირჩიეთ ერთი:

- a. კოსმიური ძალების ტყვეობაში;
- b. უცოდინარობის ტყვეობაში;
- c. ზებუნებრივი ძალების ტყვეობაში.

### კითხვა 10

დიურკჰეიმის თანახმად რა საშუალებებით იქმნება სოციალური ნორმები?

აირჩიეთ ერთი:

- a. კოლექტიური ცნობიერების მეშვეობით;
- b. ცალკეული ინდივიდების მიერ;
- c. ადამიანთა ბრბოს მიერ.

### კითხვა 11

ნეოპოზიტივისტური სოციოლოგია რა მიიჩნევს პრიორიტეტულად?

აირჩიეთ ერთი:

- a. ზოგადი სოციოლოგიის განვითარებას;
- b. კონკრეტული სოციოლოგიის განვითარებას;
- c. ზოგადი პრინციპების წინა პლანზე წამოწევას.

### კითხვა 12

ვიკოს თანახმად რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა?

აირჩიეთ ერთი:

- a. საზოგადოებაში ცხოვრებას;
- b. განდევნილად ცხოვრებას;
- c. მუდმივად კონფლიქტებში ყოფნას.

### კითხვა 13

სოციოლოგიამ უნდა გაარკვიოს

აირჩიეთ ერთი:

- a. როგორ ქმნიან და გარდაქმნიან ინდივიდები საზოგადოებას
- b. ადამიანთა ინდივიდუალური ცხოვრების წესი
- c. ადამიანთა გენეზისი

### კითხვა 14

საზოგადოებას ახასიათებს

აირჩიეთ ერთი:

- a. მუდმივი უცვლელობა;
- b. ცვალებადობა და განვითარება;
- c. მუდმივი უკუსვლა.

### კითხვა 15

საზოგადოების ცხოვრებაში რას განაპირობებს ბუნებრივი გარემო?

აირჩიეთ ერთი:

- a. შრომის განაწილებას, სპეციალიზაციას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;
- b. შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს;
- c. უმუშევრობას.

### კითხვა 16

ვის ეკუთვნის გამოთქმა: "კლიმატის ძალა ყოველგვარ ძალას აღემატება"

აირჩიეთ ერთი:

- a. არისტოტელეს;
- b. მონტესკეს;
- c. ეპიკურეს.

### კითხვა 17

როგორ განსაზღვრავენ შრომას?

აირჩიეთ ერთი:

- a. შრომა არის ადამიანის ნებისმიერი ქმედება;
- b. შრომა არის გართობის საშუალება;
- c. შრომა არის ადამიანის მიზანდასახული საქმიანობა.

### კითხვა 18

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი ელემენტია:

აირჩიეთ ერთი:

- a. გვარი;
- b. პირველანდელი ადამიანთა ჯოგი;
- c. კრიმინალური დაჯგუფებები.

### კითხვა 19

რა ძირითადი ნიშნით ხასიათდება ხალხი?

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთო ტერიტორიით, ხასიათით, საერთო კულტურით, ენით;
- b. საერთო ბუნებრივი ინსტიქტებით;
- c. ერთიანი მოქმედებითი ნიჭით.

### კითხვა 20

სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი მახასიათებელია:

აირჩიეთ ერთი:

- a. საზოგადოებაში მხოლოდ ერთი ფენის არსებობა;
- b. საზოგადოების ფენობრივი განსხვავება;
- c. ადამიანთა დაყოფა ტემპერამენტების მიხედვით.

### კითხვა 21

რა იგულისხმება სოციალურ მობილობაში?

აირჩიეთ ერთი:

- a. ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების მუდმივად ერთი სტატუსით ყოფნა;

- b. ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების ადგილგადაწვლვა;
- c. საზოგადოებაში რაიმე პროცესების არ არსებობა.

### კითხვა 22

რა იგულისხმება არაბუნებრივ სოციალურ ცვლილებებში?

აირჩიეთ ერთი:

- a. როდესაც ადამიანები თვითონ ცვლიან სოციალურ პროცესებს;
- b. როდესაც ადამიანები გულგრილნი არიან სოციალური პროცესებისადმი;
- c. როდესაც ადამიანები იმედს ამყარებენ ბუნებრივ ძალებზე.

### კითხვა 23

როგორი სახელმწიფოებრივი მართვა ითვლება დემოკრატიულად?

აირჩიეთ ერთი:

- a. როდესაც სახელმწიფოს მართვა გვაროვნულ-მემკვიდრეობითია;
- b. როდესაც ხელისუფლება ხალხის მიერაა არჩეული და მის ნებას გამოხატავს;
- c. როდესაც ადამიანებს ყოველგვარი ქმედების ჩადენის საშუალება აქვთ.

### კითხვა 24

რა იგულისხმება "სიუხვისა და საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაში?"

აირჩიეთ ერთი:

- a. მთელი საზოგადოების ერთდროული გამდიდრება;
- b. საზოგადოებაში სილატაკის დაძლევა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- c. მოთხოვნილების მიხედვით ყველას დაკმაყოფილება.

### კითხვა 25

რა არის დამახასიათებელი დახურული საზოგადოებისათვის?

აირჩიეთ ერთი:

- a. წოდებრივი უთანასწორობის არსებობა;
- b. ადამიანთა აბსოლუტური თანასწორობა;
- c. წოდებებისა და ფენების არარსებობა.

### კითხვა 26

თანამედროვე თეორიებში რას უწოდებენ კაპიტალიზმს?

აირჩიეთ ერთი:

- a. საზოგადოებას, სადაც ყველა მილიონერია;
- b. "ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებას;"
- c. საზოგადოებას, სადაც განათლება უფასოა.

### კითხვა 27

დ. ბელი პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ რა სიახლეზე მიუთითებს?

აირჩიეთ ერთი:

- a. სატელოფონო სამსახურის გაფართოებას მრავალარხიანი კაბელური სისტემით;
- b. უფასო სატელეფონო მომსახურებას;
- c. სატელეფონო სამსახურის საერთოდ გაუქმებას.

### კითხვა 28

ისტორიის ერთ-ერთ პერიოდად კონდორსეს მიაჩნდა:

აირჩიეთ ერთი:

- a. სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის;
- b. რომის წარმოშობა თავისი უნიკალური ხელოვნებით (კულტურით).
- c. წარმართული რწმენის აღორძინება.

### კითხვა 29

ტომზის მიერ დასახელებული ცივილიზაციებიდან ერთ-ერთია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეთიოპიური;
- b. ისლამური;
- c. პაპუასური.

### კითხვა 30

კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია:

აირჩიეთ ერთი:

- a. კვლევის პროგრამის და სამუშაო გეგმის შედგენა;
- b. ნებისმიერი მოქალაქის ჩაბმა კვლევით საქმიანობაში;
- c. ინფორმაციის გავრცელება კვლევის მიზნების შესახებ.